N გ-21-08/2167
22/07/2021

2167-გ-21-08-2-202107221736

სს „სილქნეტს“

წარმოგიდგენთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდეგში „კომისია“) პოზიციას DLA Piper-ის მიერ მომზადებულ მემორანდუმზე საქართველოში მობილური მომსახურეებების ბაზრის რეგულირების შესახებ კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

მემორანდუმში წარმოდგენილია საკმაოდ კრიტიკული შეფასება იმის შესახებ, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეესაბამება ევროპულ რეგულაციებს. კომისია არ ეთანხმება დოკუმენტში აღნიშნულ მოსაზრებებს და წარმოგიდგენთ ჩვენს პოზიციას.

მემორანდუმის 5.1 პუნქტში აღნიშნულია, რომ 2007 წლის შემდეგ ევროპის არც ერთ ქვეყანას არ დაურეგულირებია საბითუმო მობილური ბაზარი. აღნიშული წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან 2007 წლის შემდგომ, როდესაც მობილური მომსახურეებების საბითუმო ბაზარი (Market 15, wholesale mobile access and call origination market) ევროკომისიამ ამოიღო აუცილებელ რეგულირებას დაქვემდებარებული ბაზრებიდან, აღნიშნული ბაზარი ევროპის სამ ქვეყანაში კვლავ რეგულირდებოდა (კვიპროსი, ნორვეგია, ესპანეთი) ევროკომისიის 2007 წლის რეკომენდაციის (2007/879/EC) საფუძველზე მარეგულირებელს აქვს უფლება სამ კრიტერიუმიანი ტესტის საფუძველზე ადგილობრივი ბაზრის მოცემულობებიდან გამომდინარე შეაფასოს, ბაზრის ესა თუ ის სეგმენტი ექვემდებარება თუ არა წინასწარ(ex-ante) რეგულირებას.[1] ევროკომისიის 2020 წლის 18 დეკემბრის რეკომენდაციაში[2] კვლავ ცალსახად არის მითითებული, რომ ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა გააანალიზონ მომსახურების ის ბაზრებიც, რომლებიც აღარ არის ჩამოთვლილი აღნიშნული რეკომენდაციის დანართში, თუმცა რეგულირდებოდნენ შესაბამისი იურისდიქციის გავრცელების ფარგლებში ადრე ჩატარებული ბაზრის ანალიზის საფუძველზე. ასევე მომსახურების სხვა ბაზრებიც, თუ მარეგულირებლებს აქვთ საკმარისი საფუძველი მიიჩნიონ, რომ სამი კრიტერიუმის ტესტი სრულდება. შესაბამისად, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს შეუძლიათ

[1] https://www.cullen-international.com/client/site/documents/FLTEEU20160051
[2] COMMISSION RECOMMENDATION of 18.12.2020 on relevant product and service markets within the electronic communications sector susceptible to ex ante regulation in accordance with Directive (EU) 2018/1972 of the European Parliament and of the Council of 11 December 2018 establishing the European Electronic Communications Code
https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32020H2245

განსაზღვრონ და დაადგინონ შესაბამისი მომსახურების ბაზრის სხვა სეგმენტები, რომლებიც არ არის შეყვანილი აღნიშნული რეკომენდაციის ჩამონათვალში და რომელთათვისაც ადგილობრივი ბაზრის მოცემულობის გათვალისწინებით მარეგულირებელმა მიიჩნია რომ არსებობს კონკურენციის შემზღუდველი ინდიკატორები და შესაბამისად შეამოწმა რომ სამი კრიტერიუმის ტესტი სრულდება. („National regulatory authorities should also analyze markets that are not contained in this Recommendation, but that are regulated within the territory of their jurisdiction on the basis of previous market analyses, or other markets, if they have sufficient grounds to consider that the three criteria test is met. Hence, the national regulatory authorities can also define other relevant product and service markets, not listed in this Recommendation, if they can prove that in their national context, the markets meet the three criteria test.“)

მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვების 2019 წლის 31 დეკემბრის N გ-20-9/156 „მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ გადაწყვეტილების ფარგლებში კომპანია PricewaterhouseCoopers-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადებულ დოკუმენტში მოყვანილ მაგალითებთან დაკავშირებით მემორანდუმის 5.1 პუნქტში გაკეთებული აღნიშვნის შესახებ მოგახსენებთ, რომ სარეკომენდაციო დოკუმენტში მოყვანილია მაგალითები MVNO დაშვების რეგულირებასთან დაკავშრებით, რომელიც ასახავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპის ქვეყნების მიდგომას და საგულისხმოა, რომ დღესაც ევროპის წამყვან სახელმწიფოებში ოპერატორებს აქვთ ვალდებულება MVNO-ს თავიანთ ქსელზე დაშვება განახორციელონ სალიცენზიო ვალდებულების ფარგლებში (ჩეხეთი, საფრანგეთი, ირლანდია, რუმინეთი, საბერძნეთი).[3]

მემორანდუმის 5.1 პუნქტშივე არის ნახსენები, რომ კომუნიკაციების კომისიას ბაზრის შეფასებისას არ ჩაუტარებია მოთხოვნისა და მიწოდების მხარის ჩანაცვლებადობის ანალიზი და იგი მხოლოდ უშვებს, რომ ხმოვანი სერვისების გაზრდილი ფასები მომხმარებელს არ უბიძგებს OTT აპლიკაციებზე გადასვლას. რაც ასევე ფაქტობრივი უზუსტობაა, კომისიის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მომხმარებლების მიერ ინტერნეტის მოხმარება გაზრდილია იმის ფონზე, რომ მობილური ხმოვანი მომსახურების საცალო ტარიფები არ შემცირებულა. რის შედეგადაც არის გაკეთებული დასკვნა, რომ აღნიშნული სერვისები არის ურთიერთ შემავსებელი და არა ჩანაცვლებადი. ასევე, მემორანდუმის ამავე პუნქტში აღნიშნულია (დასაბუთების გარეშე), რომ კომისიის გადაწყვეტილებები არ არის თანხვედრაში ევროპულ ნორმებთან. ამასთან, დოკუმენტში არ არის კონკრეტული მითითება ან განმარტება, თუ რომელი ნორმების დარღვევაზეა საუბარი.

ამავე პუნქტში აღნიშნულია, რომ SMS და ხმოვანი ბაზრის წინასწარი რეგულაციებისადმი შესაბამისობაზე კომისია გადაწყვეტილებას იღებს 10 წლის წინანდელი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის შემდეგაც ბაზრის პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეს მოსაზრება არ არის ზუსტი, რამდენადაც 2019 წლის კვლევის „მობილური ქსელით საცალო ხმოვანი მომსახურებების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ N 267/9 გადაწყვეტილებაში გამოყენებულია სამ

[3] https://www.cullen-international.com/client/site/documents/FLTEEU20130070?version=this, https://www.culleninternational.com/client/site/documents/FLSPFR20190001?version=this, Four_3G_licences_awarded_in_Ireland__eventually_.pdf , ancom.ro/en/uploads/links_files/Rezultate_licitatie_-_final_EN.pdf

კრიტერიუმიანი ტესტი მობილური საცალო ხმოვანი მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე, რის საფუძველზეც კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ბაზარის სეგმენტი წინასწარ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს.

მემორანდუმის 5.1 პუნქტში მითითებულია, რომ მონაცემთა გადაცემის ბაზრის HHI ინდექსის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეულია ბაზარზე არსებული ოპერატორების სიმცირით. აღსანიშნავია, რომ HHI ინდექსის დათვლისას არსებითი კომპონენტია ბაზარზე ოპერატორების რაოდენობა და მცირე რაოდენობის ოპერატორებით მაღალკონკურენტული ბაზრის ინდექსის მიღება თითქმის შეუძლებელია. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ როდესაც პირველი MVNO ები შევიდნენ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ნიდერლანდები, დანია, კანადა და დიდი ბრიტანეთი, HHI ინდექსის მიხედვით მობილური ბაზარი უფრო მაღალი კონკურენციით ხასიათდებოდა, რაც ნიშნავს რომ HHI ინდექსი უფრო დაბალი იყო, ვიდრე საქართველოში 2019 წელს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის დაშვებასთან დაკავშირებული კვლევის დროს დადგინდა.

მემორანდუმის 5.2 და 6.2 პუნქტებში აღნიშნულია, რომ შეუძლებელია რამდენიმე სუბიექტს ჰქონდეს ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება ერთსა და იმავე ბაზარზე და კომისიის გადაწყვეტილება ამ ჭრილში არის ალოგიკური და არაგონივრული. ამ მსჯელობისას დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა, რამდენადაც ევროპაში არის ბაზრები, სადაც ერთ ბაზარზე ერთზე მეტი ოპერატორი იყო მიჩნეული ერთპიროვნული მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად, მაგალითად, იტალიის მარეგულირებელმა ზარის დასრულების შესაბამის ბაზარზე (Market 16) 4 ოპერატორი (Iliad, Vodafone, Wind-Tre და TIM) განსაზღვრა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად,[4] აღნიშნულ ბაზარზე გერმანიაშიც ოთხი ოპერატორი (Vodafone D 2, T-Mobile Deutschland, O2 და E-Plus Mobilfunk) არის განსაზღვრული როგორც SMP[5].

5.3 პუნქტში აღნიშნულია, რომ კომისიამ მარეგულირებელი ზომები დააწესა იმ ბაზრებისგან განსხვავებულ ბაზარზე, რომლებიც თავად კომისიამ განსაზღვრა გადაწყვეტილებით. კომისიის გადაწყვეტილებაში არის დასაბუთებული, რომ მომსახურების ბაზარი არის მობილური ქსელით მომსახურების ბაზარი - ხოლო ხმა, SMS და ინტერნეტი არის ამ ბაზრის სეგმენტები, თუმცა მობილურ ქსელზე დაშვება და ის მიზანი, რასაც ეს დაშვება ემსახურება - მობილური ქსელით დაშვების მომსახურების ბაზარზე შესვლის ბარიერის დაძლევა - კომისიამ განიხილა ერთობლიობაში, ამასთანავე, ინდიკატორები სამივე მომსახურებისთვის შეაფასა ცალ-ცალკე.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომ კომუნიკაციების კომისიას არ ჩაუტარებია რაიმე შეფასება „ვირტუალური მობილური ოპერატორების (MVNO) დაშვების გადაწყვეტილების“ ბაზარზე ზეგავლენის შესახებ, ასევე არის მცდარი, ვინაიდან კომისიის მიერ შესწავლილ იქნა ევროპისა და მსოფლიოს არაერთი სხვა ქვეყნის გამოცდილება, სადაც სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე შესვლის ბარიერების სირთულის გამო, ბაზარზე ახალი მოთამაშეების/კომპანიების გამოჩენა ვერ მოხერხდა კომერციულ საწყისებზე და საჭირო გახდა MVNO რეგულაციების შემუშავება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების

[4] https://www.cullen-international.com/client/site/documents/FLTEIT20180014?version=this
[5] „EU assessment of significant market power“ (https://ca.practicallaw.thomsonreuters.com/7-203-3689?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true)

მიერ. სწორედ ასეთი ქვეყნების მაგალითია ავსტრია, ნორვეგია, კვიპროსი, ჩრდილოეთ მაკედონია, ჩეხეთი, ფინეთი დანია, და სხვ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნორვეგიის მარეგულირებელი ორგანოს (NKOM) მიერ ყოველწლიურად ქვეყნდება ნორვეგიის სატელეკომუნიკაციო ბაზრის ანალიზი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ხდება MVNO დაშვების რეგულაციის გავლენის შეფასება სატელეკომუნიკაციო სექტორისთვის. 2019 წლის ანგარიშში კვლავაც მითითებულია, რომ მობილური მომსახურებების ბაზარზე, მიუხედავად იმისა, რომ ოპერირებს რამდენიმე ვირტუალური ოპერატორი, ისევ არსებობს გარკვეული სტრუქტურული ბარიერები, კერძოდ, NCOM-ის შეფასებით სრულდება სამი კრიტერიუმის ტესტი, შესაბამისად, ბაზარი კვლავ უნდა დაექვემდებაროს რეგულირებას. შედეგად მიიჩნიეს, რომ ბაზარზე აღნიშნული ბარიერების დასაძლევად კვლავ ყველაზე ეფექტური ბერკეტი NKOM-ის მიერ 2016 წლის 1 ივლისს მიღებული MVNO-ს სავალდებულო რეგულაციის გადაწყვეტილების შენარჩუნებაა.[6]

მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ევროპის სატელეკომუნიკაციო ბაზრებზე სწორედ MVNO-ების სავალდებულო შესვლა გახდა ის წინაპირობა, რამაც ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს საშუალება მისცა დაეწყოთ საცალო მომსახურების სეგმენტის დე-რეგულაცია (დაახლოებით 2003 წლიდან) და მოეხსნათ საცალო სატარიფო ინტერვენციები. თუკი ადრე კონკურენციის მართვა საცალო ბაზარზე ტარიფის რეგულაციით ხდებოდა, ევროპის მარეგულირებელმა ორგანოებმა სატელეკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაცია სწორედ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების სავალდებულო დაშვებით მოახერხეს (https://www.cullen-international.com/client/site/documents/CTTEEU20200025?version=this).

PricewaterhouseCooper-ის მიერ კომისიისთვის მომზადებულ „ეროვნულ როუმინგზე და მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორზე წვდომის პირობების სარეკომენდაციო დოკუმენტთან“ დაკავშირებით მემორანდუმში გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ვირტუალური მობილური ოპერატორის წვდომის წესებისა და პირობების შესახებ არ იძლევა მკაფიო არგუმენტებს, არის შეუსაბამობები და არ მოყავს წყაროები, რომლითაც მკითხველს შეეძლება გადაამოწმოს გამოთქმული განცხადებები. აღნიშნულ საკითხზე მოყვანილი მოსაზრებები ისევ ზოგადია და არ გვაძლევს მინიშნებას კონკრეტულად რა საკითხების დაზუსტება ან განვრცობა იქნებოდა სასურველი.

მემორანდუმის 5.4 პუნქტში მითითებულია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ დაარღვია პროცედურული ნაწილი, რის შედეგადაც დაინტერესებულ მხარეებს გადაწყვეტილების პროექტის გამოქვეყნების შემდეგ კომენტარებისთვის არ მიეცათ სათანადო დრო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვინდა, წარმოგიდგინოთ შესაბამისი ქრონოლოგია, რომელიც ადასტურებს რომ ზემოაღნიშნული მოსაზრება არასწორია.

მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ კომისიის 2019 წლის 03 ოქტომბრის N გ-19-23/567 გადაწყვეტილებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პროექტი ყველა დაინტერესებული პირისათვის ცნობილი გახდა 2019 წლის 5 დეკემბერს (იხ. ამონაწერი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 5 დეკემბრის №19 ზეპირი მოსმენის

[6] https://www.cullen-international.com/client/site/documents/FLTENO20200001

სხდომის ოქმიდან). ამავე სხდომაზე დაინტერესებულ პირებს წარედგინათ პრეზენტაცია „მობილური ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“ (იხ. ამონაწერი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 5 დეკემბრის №19 ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმიდან და პრეზენტაცია ადმინისტრაციული წარმოების მასალებში).

შესაბამისად, 2019 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე გაკეთებული პრეზენტაციით დაინტერესებული პირებისათვის ცნობილი გახდა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც საფუძვლად ედებოდა კომისიის გადაწყვეტილებას. ამავდროულად, კომისიამ ვებგვერდზე გამოაქვეყნა PricewaterhouseCooper-ის მიერ კომისიის დაკვეთით მომზადებული „ეროვნულ როუმინგზე და მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორზე წვდომის პირობების სარეკომენდაციო დოკუმენტი“ (2019 წლის 26 ნოემბერს ორიგინალური ინგლისურენოვანი ვერსია, ამავე წლის 8 დეკემბერს - ქართული ვერსია), რომელიც გამოყენებული იყო კომისიის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევისას (იხ. https://comcom.ge/ge/regulation/sakonsultacio-dokumentebi/erovnul-roumingze-da-mobilur-virtualur-qselis-operatorze-wvdomis-pirobebis-rekomendaciebi.page).

ამრიგად, 2019 წლის 5 დეკემბრიდან ყველა დაინტერესებული პირისთვის, მათ შორის, სს „სილქნეტისთვის“ ცნობილი იყო კომისიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პროექტი, გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, აგრეთვე ხელმისაწვდომი იყო ის სარეკომენდაციო დოკუმენტი, რომელიც კომისიამ გამოიყენა ბაზრის კვლევის ფარგლებში. გარდა ამისა, 2019 წლის 11 დეკემბერს კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნდა გადაწყვეტილების პროექტის სრული ვერსია (გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ჩათვლით) (იხ. https://comcom.ge/ge/agenda/sadjaro/gacnobisatvis-dokumentebis-wardgenisa-da-zepiri-mosmenis-gamartvis-shesaxeb-mobiluri-qselit-sabitumo-momsaxurebis-bazris-shesabamis-segmentze-konkurenciis-kvlevisa-da-analizis-chatarebis-miznit2.page). აღსანიშნავია, ისიც, რომ 2019 წლის 11 დეკემბერს გამოქვეყნებულ პროექტში დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებები შევიდა, თუმცა მასში მოცემული პრინციპული საკითხები უცვლელი დარჩა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულ პირებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, კომისიის მიერ 2019 წლის 31 დეკემბერს გადაწყვეტილების მიღებამდე კომისიაში წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები. უფრო მეტიც, ამ უფლებით არაერთმა ავტორიზებულმა პირმა (მათ შორის, სს „სილქნეტმა“) ისარგებლა და მათი მოსაზრებები კომისიასთან შეჯერების შემდგომ გარკვეულწილად აისახა კიდეც საბოლოო გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების მიღებისას სახეზე არ ყოფილა აქტის მომზადების ან გამოცემის პროცედურული დარღვევა, რომელიც სს „სილქნეტს“ ან სხვა დაინტერესებულ პირს შეუზღუდავდა საკუთარი მოსაზრებების წარდგენისა და საჯაროდ გამოთქმის შესაძლებლობას.

მემორანდუმის 6.1 პუნქტში აღნიშნულია, რომ კომისიას აქვს ევროკომისიის მიერ, შესაბამისი მომსახურების ბაზრებთან დაკავშირებული, პერიოდულად გამოქვეყნებული რეკომენდაციების გათვალისწინების ვალდებულება. თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოყვანილი დასკვნის სამართლებრივი საფუძველი მითითებული არ არის.

ამავე პუნქტში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირის არც ერთი ქვეყნის მიერ, არასდროს, არც ერთი საცალო მობილური ბაზარი არ შეფასებულა, როგორც წინასწარ რეგულირებას დაქვემდებარებული. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მობილურ საცალო სეგმენტზე სატარიფო კონტროლის შესაბამისი რეგულაცია 2001 წლიდან მოქმედებდა მალტაში.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ფიქსირებული მომსახურებების საცალო ბაზარზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნული ბაზარი არაერთგზის დაქვემდებარებია რეგულირებას.

6.2 პუნქტში აღნიშნულია, რომ კომისიას არ აქვს დასაბუთებული, რის გამო გახდა 2020 წელს საცალო მობილური ბაზრის კვლევის ჩატარება საჭირო. ეს კომენტარიც დაუსაბუთებელია, რადგან აღნიშნული კვლევის საფუძვლები წარმოდგენილია კომისიის გადაწყვეტილებაში N გ-20-23/360 (იხ. https://comcom.ge/ge/legal-acts/solutions/2020--20-23-360.page).

აღნიშნულ პუნქტში ასევე ნახსენებია, რომ ვირტუალური მობილური ოპერატორების (MVNO) დაშვების გადაწყვეტილებაში აღნიშნული მობილური ბაზრის 147%-იანი პენეტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ აბონენტს საშუალება აქვს აირჩიოს მომსახურების საუკეთესო ვარიანტი. კომისიის აზრით, სიმკვრივის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ოპერატორს გააჩნია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება და მიუხედავად იმისა, რომ სხვა ოპერატორს უკეთესი შემოთავაზება აქვს, მომხმარებელი მაინც ვერ გადადის სხვა ოპერატორთან და მხოლოდ დამატებითი სარგებლისთვის იყენებს მათ სიმ ბარათს.

მემორანდუმის 6.2(SMP შეფასება) და 6.2(საშუალებები) პუნქტებში გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ევროკომისიის 2020 წლის 18 დეკემბრის ელექტრონული კომუნიკაციების სექტორის Ex-ante რეგულირებას დაქვემდებარებული შესაბამისი პროდუქტისა და სერვისის ბაზრების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტის (COMMISSION RECOMMENDATION (EU) 2020/2245, of 18 December 2020 on relevant product and service markets within the electronic communications sector susceptible to ex ante regulation in accordance with Directive (EU) 2018/1972 of the European Parliament and of the Council establishing the European Electronic Communications Code) პუნქტი N22-ის მიხედვით, ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანოებმა უნდა გააანალიზონ ის ბაზრებიც, რომლებსაც არ მოიცავს ეს რეკომენდაცია, ასევე მომსახურების სხვა ბაზრებიც, თუ კი მარეგულირებლებს აქვთ საკმარისი საფუძველი მიიჩნიონ, რომ სამი კრიტერიუმის ტესტი სრულდება. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მარეგულირებლის მიერ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის და რეგულირების ჩარჩოს დადგენის - თქვენს ყველა მსჯელობაში ყურადღების მიღმაა დატოვებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მემორანდუმის შემაჯამებელ დასკვნაში გაკეთებული მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები ევროკომისიის მხრიდან რევიზიას რომ ექვემდებარებოდეს, აუცილებლად დაიბლოკებოდა - ყოვლად დაუსაბუთებელი და გაუგებარია.

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე ეტაპზე მობილური ქსელის მფლობელი სამივე ოპერატორის მიერ გამოთქმულია მზაობა, მობილურ ქსელზე დაშვების მსურველი ავტორიზებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს მსურველი

ავტორიზებული პირის დაშვებასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, თუ მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორების მიერ მოხდება მომსახურების ბაზრის გახსნა და მსურველ MVNO-ებთან კომერციული მოლაპარაკების წარმოება და აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნება MVNO-ს დაშვების და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების პრეცედენტი, კომისიას შესაძლებლად მიაჩნია განიხილოს კომისიის 2019 წლის 31 დეკემბრის #გ-20-9/156 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი. აღნიშნული პოზიცია კომისიამ არაერთხელ დააფიქსირა როგორც ფორმალურ კომუნიკაციაში აღნიშნულ ოპერატორებთან, მათ შორის სს „სილქნეტთან“, ასევე სხვადასხვა საჯარო განცხადებაშიც.

კახი ბექაური

თავმჯდომარე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია